საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-10/22

ქ. ბათუმი 28 მარტი, 2017 წ.

,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2016-2017 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 2 მარტის N01-10/14 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს 2017 წლის ბიუჯეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2016-2017 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 2 მარტის N01-10/14 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. კონკურსის ჩატარების ვადების განისაზღვროს შემდეგნაირად:

,ა) განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - 2017 წლის 2 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 9:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების განხილვის პერიოდი - 2017 წლის 14 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით;

გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (N13 ოთახი)- 2017 წლის 28 მარტი;

დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2017 წლის 30 მარტი;

ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2017 წლის 31 მარტი;

ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა 2017 წლის 31 მარტი.

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:

,,2[1]. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ ბიუჯეტი განისაზღვროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით.“

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა“ და ,,კონკურსები“) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიის წევრებს.
3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯ. ანანიძე**